საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

28/04/2026

MES 2 26 0000497667

# გადაწყვეტილება

## ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

### 1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ $27^2$ -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების $27^5$ - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^5$ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^6$ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ $27^5$-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ $27^6$-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია

სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების $27^5$ - ე მუხლის მე-$7^1$ პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

**2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება**

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 21 იანვრის №46719 (ცვლილება ბრძანებაში №103408, 02/02/2026) ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების "ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე.

**3. სარეზოლუციო ნაწილი**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ -ე მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

**გადაწყვიტა:**

1. დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2032 წლის 31 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების" საბაკალავრო და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 28 აპრილის სხდომის №496706 ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 14 აპრილიდან.
5. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2027 წლის 14 აპრილი.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის $24^1$ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

დანართი №1

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | VI |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ინფორმაციის ტექნოლოგიების უსაფრთხოების ბაკალავრი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება - 0612 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი | ილია ჭავჭავაძის ქ. 53ა, თბილისი, 0179, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |
| 16 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 2026 წლის 14 აპრილი |

| | | |
|---|---|---|
| 17 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა | 2027 წლის 14 აპრილი |
| 18 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 2032 წლის 31 დეკემბერი |

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე